



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ანტონ გენათელი

ანტონ გენათელი, საეკლესიო მოღვაწე, გელათის მთავარეპისკოპოსი XVI ს. II ნახევარში; ადრე ანყურის ეპისკოპოსი (მანყვერელი). დატოვა ანყური სამცხე-საათაბაგოში ოსმალთა მომძლავრებისა და ქრისტ. ეკლესიის შევიწროების გამო. ა. გ. მონაწილეობდა იმერეთის მეფის ბაგრატ III-ის (1510 – 65) მიერ მოწვეულ საეკლ. კრების მუშაობაში, ხელისმონწერთა დაამტკიცა ამ კრებაზე შემუშავებული მკაცრი კანონები ტყვეთა სყიდვის და ზნეობრივ - ქრისტ. წეს-ჩვეულებების და მრღვევთა წინააღმდეგ (იხ. „კათალიკოსთა სამართალი“).

1584 შეაკეთა და მოახატვინა გელათის ტაძრის ჩრდილოეთის კარიბჭე, რ-ის კედლებს დღესაც ამკობს იმდროინდელი ფრესკები და წარწერები. სამხრეთის კედლის ასომთავრულ წარწერაში ა. გ. იხსენიება.

ლიტ.: ლ ო მ ი ნ ა ძ ე ბ., გელათი, თბ., 1955; მ ი ს ი ვ ე , ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან. სენიორიები, [ტ.] 1, თბ., 1966.

ბ. ლომინაძე
